

4.3 ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ

2019 წლის 25 აპრილს, ელექტრონული აუქციონის შედეგების შესაბამისად, გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება N3 სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრსა და ფიზიკურ პირს - გურამ ნადარეიშვილს შორის, რომლის საფუძველზე „მოიჯარემ“ იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში მიიღო სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (საკადასტრო კოდი:01.14.03.39.020) 2 (ორი) კვ.მ. ფართი 24 (ოცდაოთხი) თვის ვადით.